შრომის ბაზრის მიმოხილვა

ანგარიში მომზადებულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის პროცესისთვის

2024 წელი

დოკუმენტის შესახებ 3

მეთოდოლოგია 3

- კვლევის ამოცანა 3
- გამოყენებული მეთოდები 3

კვლევის შედეგები 5

- მეორადი წყაროების ანალიზი 5
  - საქართველოს შრომის ბაზრის მიმოხილვა 5
  - ხელფასების დინამიკა სექტორების მიხედვით 8
  - სტუდენტების მიღება 11
  - საჯარო მმართველობის პროგრამებზე კონკურსი 13
  - ინგლისურევნოვანი პროგრამები 15
- საერთაშორისო კვლევები 18
  - პროფესიების ავტომატიზაციის რისკი 18
  - სამუშაო ადგილების ზრდის პროგნოზი საქმიანობების მიხედვით 19
- ვაკანსიების პორტალის განცხადებების ანალიზის შედეგები 20

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 26

დოკუმენტის შესახებ

2022 წლიდან საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დაწყებული კლასტერული აკრედიტაციის სისტემის დანერგვის საპასუხოდ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა დაიწყო ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართლის კლასტერში (კოდი 04) შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულ აკრედიტაციისთვის მომზადება. ეს პროგრამებია:

- ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)
- ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი), სადოქტორო პროგრამა
- ციფრული მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

თითოეული ამ პროგრამისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინა აკრედიტაციის ფარგლებში ჩატარებულია შრომის ბაზრის მიმოხილვა. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მიმოიხილოს შრომის ბაზრის ახალი ტენდენციები, რათა მოხდეს მათი გათვალისწინება პროგრამების განვითარებაზე მომუშავე პერსონალის მიერ.

მეთოდოლოგია

კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანა გახლდათ იმ საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს და უცხოურ შრომის ბაზართან შესაბამისობის შესწავლა. მიმოხილვის სპეციფიური ამოცანებია:

- არის თუ არა მოთხოვნა აბიტურიენტებს / პოტენციურ სტუდენტებს შორის ამ საგანმანათლებლო პროგრამებზე;
- შეესაბამება თუ არა საგანმანათლებლო პროგრამების კურსები განცხადებული შედეგები პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნებს;
- არის თუ არა შრომის ბაზარზე მოთხოვნა საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებზე.

გამოყენებული მეთოდები

მეორადი წყაროების ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზართან შესაბამისობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელიც ადასტურებს რომ ერთის მხრივ, მოთხოვნა ამ საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ სტუდენტების

მხრიდან იქნება ინტერესი, ხოლო მეორეს მხრივ დასაქმების ბაზარზე იქნება მოთხოვნა ამ პროგრამის კურსდამთავრებულების მიმართ. ამისათვის შესწავლილი იქნა შემდეგი სახის სტატისტიკური ინფორმაცია:

- საქართველოში საწარმოთა რიცხოვნობის დინამიკა
- ბიზნეს სფეროში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის დინამიკა
- ბიზნეს სფეროში მოქმედ საწარმოთა რიცხოვნობა
- სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა
- სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის დინამიკა
- სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებლები EEU-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე
- სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებლები საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე
- ევროკავშირის ქვეყნებში მენეჯერების პოზიციაზე დასაქმების მაჩვენებლები
- ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების ანგარიშები რომლებიც ეხება შრომის ბაზრის მომიხილვას;

ვაკანსიების პორტალის განცხადებების ანალიზი

იმის იდენტიფიცირებისთვის თუ რა მოთხოვნებს უყენებენ პოტენციური დამსაქმებლები აპლიკანტებს გავაანალიზეთ შემდეგი დასაქმების პლატფორმების ვაკანსიებზე განცხადებები:

- www.jobs.ge
- HR.gov.ge
- LinkedIn

კვლევისთვის ინტერესის საგანს წარმოადგენდა განცხადებების შემდეგი მახასიათებლები:

- მენეჯერულ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა
- მენეჯერულ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიების გამომცხადებელი კომპანიების საქმიანობის სფერო
- მენეჯერულ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიების მოთხოვნები / სამუშაო აღწერილობები
- მენეჯერულ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები

კვლევის შედეგები

მეორადი წყაროების ანალიზი

საქართველოს შრომის ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზისთვის მნიშვნელოვანი საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიმოხილვა.

უმუშევრობის მაჩვენებელს განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარება და რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდის ტემპი, მით მაღალია მოთხოვნა პროფესიულ კადრებზე. ეკონომიკის ზრდის ტემპი და სამუშაო ადგილების ზრდა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. თუ ამოვალთ დებულებიდან, რომ საქართველოში ბოლო წლებში ეკონომიკა მზარდია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიის მქონე კვალიფიციური კადრის დასაქმების შესაძლებლობები იზრდება.

დიაგრამაზე წარმოადგენილია 2012-2022 წლების განმავლობაში რეგისტრირებულ და მოქმედ ორგანიზაციათა რაოდენობა. რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს. მართალია მოქმედ ორგანიზაციათა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობას, თუმცა მზარდი დინამიკა აქაც შესამჩნევია.

*დიაგრამა 1. **რეგისტრირებულ და მოქმედ ორგანიზაციათა რაოდენობა, ნაზარდი ჯამი (2012-2022)***



თუ შევხედავთ ახლად დარეგისტირებულ ორგანიზაციათა და მათ შორის ბიზნეს ორგანიზაციათა რაოდენობის დინამიკას, ვნახავთ რომ პანდემიის წელს (2020 წელი) თუ არ ჩავთვლით დინამიკა ამ მაჩვენებლის მიხედვითაც მზარდია.

დიაგრამა 2 ახლადრეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით, ათასი ***(2012-2022)***



ახალი ორგანიზაციების და მათ შორის ბიზნეს ორგანიზაციების რეგისტრაცია ქმანის დასაქმების მზარდ შესაძლებლობებს უმაღლესი განათლების დაწესებულებების კურსდამთავრებულებისთვის ისეთ პოზიციებზე როგორიცაა პროექტის / კომპანიის მენეჯერი, საოპერაციო მენეჯერი, წარმოების მენეჯერი და სხვა.

დიაგრამა 3-ზე მოცემულია დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით.

დიაგრამა 3. დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი (2017-2023 წლები)



ცხრილში 1. მოცემულია დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით. როგორც ვხედავთ დასაქმებულთა რაოდენობა მზარდია ისეთ სექტორებში როგორიცაა მრეწველობა, მშენელობა, ტრასპორტი და დასაწყობება, განთავსების საშუალებები და საკვებით უზრუნველყოფა, ადმინსიტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები, ჯანდაცვა.

სახელმწიფო სექტორი ერთერთი მსხვილი დამსაქმებელია. დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით მეექვსე ადგილზე დგას სახელწმიფო მმართველობის სექტორი.

ცხრილი 1 დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (NAEC2)

	ათასი კაცი					
	2017	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
სულ	**1,286.9**	**1,296.2**	**1,295.9**	**1,241.8**	**1,217.4**	**1,283.7**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	289.5	253.9	247.4	246.3	230.3	229.2
მრეწველობა	153.8	153.9	147.0	141.3	137.2	152.4
მშენებლობა	84.3	98.8	101.4	85.2	94.4	108.6
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	174.6	185.0	195.9	188.0	180.7	192.7
ტრანსპორტი და დასაწყობება	70.1	78.2	82.0	79.1	76.4	80.5

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	37.9	44.3	48.8	36.0	33.4	42.6
ინფორმაცია და კომუნიკაცია	21.7	20.9	19.0	19.7	18.1	15.3
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	31.2	33.7	30.7	29.9	29.5	29.4
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	3.1	4.4	3.9	3.2	5.2	3.4
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	22.0	21.2	19.0	19.2	21.5	22.6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	18.5	21.3	22.4	19.6	19.4	23.0
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	89.8	91.3	93.2	94.5	92.4	91.6
განათლება	159.2	155.1	153.4	145.8	145.9	149.9
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	68.0	65.3	60.2	62.0	66.3	69.9
ხელოვნება, გართობა და დასვენება	26.9	28.4	29.9	30.0	28.7	31.3
სხვა სახის მომსახურება	21.1	20.0	22.0	25.0	22.1	22.4
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	14.4	19.4	17.9	15.0	12.9	17.0
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0.5	1.1	1.4	2.0	2.7	1.5
არაიდენტიფიცირებული	0.3	-	0.4	-	0.3	0.3

წყარო: სამუშაო ძალის გამოკვლევა.

ხელფასების დინამიკა სექტორების მიხედვით

მიმოხილვის ფარგლებში შევისწავლეთ როგორია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი თანამდებობების მიხედვით, სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის საიტზე ხელმისაწვდომი იყო 2021 წლის ინფორმაცია. როგორც ცხრილი 2-დან ჩანს მენეჯერების კატეგორიაში საშუალო ხელფასი 81%-ით აღემატება სპეციალისტების-პროფესიონალების კატეგორიის საშუალო ხელფასს, 102%-ით აღემატება სპეცალიტების/ტექნიკოსების კატეგორიის საშუალო ხელფასს და 111%-ით ოფისის დამხმარე პერსონალის საშუალო ხელფასს. რაც ნიშნავს რომ უფრო მაღალანაზღაურებადი

სამუშაოს მოძებნის პერსპექტივა ენქებათ იმ აპლიკანტებეს ვისაც მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობისთვის საჭირო უნარჩვევები ექნებათ.

ცხრილი 2. ***დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით, 2021 (ლარი)***

ISCO-08	დაკავებული თანამდებობა/პოზიცია	სულ
	სულ	**1 304.5**
1	**მენეჯერები**	**2 414.7**
11	უმაღლესი რგოლის მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები	3 848.9
12	ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები	2 312.6
13	წარმოებისა და სპეციალიზებული მომსახურების მენეჯერები	2 010.8
14	სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები	1 472.7
2	**სპეციალისტი-პროფესიონალები**	**1 333.7**
21	მეცნიერებისა და ტექნიკის (ინჟინერიის) სპეციალისტი-პროფესიონალები	1 568.1
22	ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სპეციალისტი-პროფესიონალები	1 446.7
23	განათლების სპეციალისტები	994.4
24	ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები	1 422.4
25	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები	2 268.4
26	სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროების სპეციალისტები	1 411.7
3	**ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები**	**1 193.7**
31	მეცნიერების და ტექნიკის დამხმარე სპეციალისტები	1 516.9
32	ჯანმრთელობის დაცვის დამხმარე სპეციალისტები	862.6
33	ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტები	1 153.8
34	სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტები	1 209.3
35	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები	1 705.8
4	**ოფისის დამხმარე პერსონალი**	**1 144.6**
41	ზოგადი პროფილის და ტექსტის ამკრეფი კლერკები	1 171.6
42	მომხმარებელთა მომსახურების სფეროს კლერკები	1 407.3
43	რიცხობრივი ინფორმაციის დამუშავების და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის სფეროს მუშაკები	905.1
44	ოფისის სხვა დამხმარე პერსონალი	934.7
5	**მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები**	**911.6**
51	პირადი მომსახურებების სფეროში დასაქმებული პირები	814.5
52	გაყიდვების სფეროს სპეციალისტები	940.6
53	ინდივიდუალური მომვლელები	499.9
54	მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკები	985.3
6	**სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები**	**791.5**
61	ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	760.0
62	ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სფეროებში დასაქმებული კვალიფიციური მუშაკები	1 036.1

7	**ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები**	**1 178.6**
71	მშენებლობისა და მონათესავე სფეროების მუშები (გარდა ელექტრიკოსებისა)	1 361.4
72	ლითონის დამამუშავებელი მრეწველობის, მანქანათმშენებლობის და მონათესავე სფეროების მუშები	1 334.5
73	ხელოსნები და პოლიგრაფიული წარმოების მუშები	1 008.7
74	ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები	1 244.1
75	კვების, ხის დამმუშავებელი, ტექსტილისა და სამკერვალო მრეწველობის და მონათესავე სფეროების ხელოსნები და მუშები	769.4
8	**დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები**	**1 112.1**

სტუდენტების მიღება

სტუდენტების მიღების, სტუდენტების რიცხოვნობის და კურსდამთავრებულთა შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებპორტალზე. „ბიზნესი და მართვა“ როგორც საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულება გაერთიანებულია შედარებით მსხვილ ჯგუფში სოციალური მეცნიერებები, ბინზესის მართვა და სამართალი. თუმცა არ არის უფრო დეტალური ინფორმაცია მაგალითად საჯარო მმართველობის მიმართულებით.

არსებული მონაცემები ცხადყოფს რომ წლიდან წლამდე სტუდენტების ინტერესი ამ მიმართლები პროგრმაზე სტაბილურია. შედარებით დაბალი იყო მიღება 2021-2022 სასწავლო წელს საბაკალავრო პროგრამებზე, თუმცა შემდეგ ორი წლის განმავლობაში მნიშნველოვანი მატება შეინიშნება. განსხვავებული ტენდენციაა სამაგისტრო პროგრამებზე, პანდემიის წელს ყველაზე მაღალი იყო ბიზნესის და მართვის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების მაჩვენებელი. რაც შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო იმით რომ ორგანიზაციების დიდი ნაწილი ონლაინ მუშაობაზე იყო გადასული და უფრო ხელმისაწვდომი გახდა დისტანციური სამაგისტრო პროგრამების გავლა. ეს გვაფიქრებინებს რომ ნაწილობრივ დისტანციური ან ჰიბრიდული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ დაინტერესება განსაკუთრებით სამაგისტრო საფეხურზე იქნება მაღალი.

დიაგრამა 4 სტუდენტების მიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროგრამის მიმართულება „ბიზნესი და მართვა“, საბაკლავლო და მაგიტრატურის საფეხურზე



სადოქტორო პროგრამების სტუდენტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გვერდზე, თუმცა მონაცემები გაერთიანებულია სადოქტორო პროგრამების მსხვილ ჯგუფებად.

კვლევის სამიზნე პროგრამები გაერთიანებულია ჯგუფში „სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი“.

როგორც დიაგრამაზე ჩანს, სხვა სადოქტორო პროგრამებთან შედარებით ყველაზე დიდი მოთხოვნა არსებობს სადოქტორო პროგრამების ჯგუფზე - სოციალური მეცნირებები, ბიზნესი და სამართალი, თუმცა რა წილია მათგან ბიზნესის მენეჯმენტის პროგრამებზე, ამის შესახებ ღია წყაროებში არ არის ინფორმაცია. ასევე ყურადსაღებია რომ ამ ჯგუფის პროგრამებზე ინტერესი მეტნაკლებად სტაბილურია, მცირედი ვარიაციებით.

დიაგრამა 5 სტუდენტების რაოდენობა სადოქტორო პროგრამებზე - სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი



დიაგრამა 6 დოქტორანტების რიცხოვნობა სადოქტორო პროგრამების მიხედვით, 2023 წელი



საჯარო მმართველობის პროგრამებზე კონკურსი

საინტერესოდ ჩავთვალეთ გაგვეანალიზებინა რამდენად არის ინტერესეი აბიტურიენტების მხრიდან საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამებზე. საბაკალავრო პროგრამებს მიმდინარე წელს ახორციელებს 13 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. სულ ჯამში ამ პროგრამებზე გამოცხადებულია 687 ადგილი. ყველა პროგრამაზე ერთად დარეგისტრირდა 5243 აბიტურიენტი, კონკურის ინდექსია 7.6, რაც ნიშნავს რომ 1 ადგილზე საშუალოდ მოდის 7.6 აბიტურიენტი. ეს მონაცემი ირიბად მიანიშნებს რომ საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიმართ იქნება მომავალში ინტერესი.

ცხრილი 3 საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით, 2024 წელი

	ადგილების რაოდენობა	სულ პროგრამაზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობა	კონკურსი (დარეგისტრირებულთა რაოდენობა 1 ადგილზე)
1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	50	873	17.5
2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	50	611	12.2

3. სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	100	315	3.2
4. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (თბილისი)	50	440	8.8
5. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი)	25	392	15.7
6. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	20	184	9.2
7. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	30	161	5.4
8. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	50	988	19.8
9. საქართველოს უნივერსიტეტი	50	446	8.9
10. კავკასიის უნივერსიტეტი	30	244	8.1
11. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	90	305	3.4
12. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	112	21	0.2
13. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	30	263	8.8
სულ	**687**	**5243**	**7.6**

საჯარო მმართველობის ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამების ფასები მერყეობს 2000 ლარიდან 4950 ლარამდე, ინგლისურენოვანი პროგრამა აქვს მხოლოდ თსუ-ს და მისი საფასურია 5850 ლარი.

ცხრილი 4 საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გადასახადი და სწავლების ენა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის საფასური**	**სწავლების ენა**
1. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	საჯარო მმართველობა	2750	ქართული

2.	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	საჯარო მმართველობა	3700	ქართული
		საჯარო პოლიტიკა	3950	ქართული
		ადგილობრივი თვითთმართველობა	3950	ქართული
3.	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	საჯარო მმართველობა	2250	ქართული
4.	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საჯარო მმართველობა	2250	ქართული
5.	გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საჯარო მმართველობა	2000	ქართული
6.	დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	სახელმწიფო რესურსების მართვა	2250	ქართული
7.	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა	2500	ქართული
		საჯარო მმართველობა	5850	ინგლისური
8.	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება	2250	ქართული
9.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საჯარო მმართველობა	2250	ქართული
10.	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა	3060	ქართული
11.	კავკასიის უნივერსიტეტი	საჯარო მმართველობა	4950	ქართული
12.	საქართველოს უნივერსიტეტი	საჯარო მმართველობა	3000	ქართული
13.	სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	საჯარო მმართველობა	2500	ქართული
14.	აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	საჯარო მმართველობა	2500	ქართული

ინგლისურენოვანი პროგრამები

ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო მატულობს უცხოელების ინტერესი საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების მიმართ, თუმცა უცხოელი სტუდენტების უმეტესობა სამედიცინო პროგრამებზე მოდის.

2022-2023 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 159 უცხოენოვანი პროგრამა იყო აკრედიტებული. მათგან 19 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო / სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამაა.

2022-2023 სასწავლო წელს სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის და სამართლის პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების წილი მხოლოდ 4.5%-ს შეადგენდა. წლების დინამიკას თუ შევხედავთ დავინახავთ რომ ამ ჯგუფის პროგრამების მიმართ უჯცხოელების ინტერესი არასტაბილურია. სამწუხაროდ არსებული მონაცემებით არ შეგვიძლია

ვიმსჯელოთ არასტაბილურობის მიზეზებზე, არ არის ხელმისაწვდომი უცხოელი სტუდენტების განაწილება ქვეყნების და პროგრამების მიხედვით, რაც შესაძლოა მოგვცემდა ვარაუდების გამოთქმის შესაძლებლობას. თუმცა სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის და სამართლის პროგრამებზე სტუდენტების მცირე წილი იმაზე მეტყველებს, რომ საჭიროა ამ მიმართულებების პოპულარიზაცია, რათა უცხოელი სტუდენტები ამ პროგრამებითაც დაინტერესდნენ.

ინგლისურენოვან პროგრამების მიმართ ინტერესი ქართველი აბიტურიენტებისთვის/პოტენციური სტუდენტებისთვისაც იზრდება. რაც შესაძლოა გამოწვეულია იმით რომ ინგლისურენოვანი პროგრამების დასრულების შემდეგ უცხოეთში დასაქმების შანსები იზრდება.

დიაგრამა 7 უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა, სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი, 2022-2023 სასწავლო წელი



საერთაშორისო კვლევები

საქართველოში დეტალური შრომის ბაზრის კვლევების ჩატარება საკმაოდ დიდ რესურსთანაა დაკავშირებული და ხშირად ამ მხრივ საგანმანათლებლო დაწესებულებები განიცდიან ინფორმაციის დეფიციტს, ამიტომ საინტერსოდ ჩავთვალეთ ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

ევროკავშირის დეცენტრალიზებული სააგენტო CEDEFOP[1] (European Center for the Development of Vocational Training) სპეციალიზებულია ისეთი კვლევების განცორციელებაზე, რომელიც ხელს უწყობს EU-ს განათლების პოლიტიკას, დასაქმების ბაზრის შესახებ მტკიცებულებების მოგროვებაზე.

პროფესიების ავტომატიზაციის რისკი

Cedefop-მა შეაფასა პროფესიების ავტომატიზაციის რისკები, ანუ ის პროფესიები, რომლებთა დავალებების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება ავტომატიზირებული იყოს ტექნიკური აღჭურვილობით და რომელთა საქმიანობა მცირედ არის დამოკიდებული კომუნიკაციაზე, თანამშრომლობაზე, კრიტიკულ აზროვნებასა და მომხმარებელთა მომსახურების უნარებზე.

დიაგრამა 5-ზე მოცემულია სხვადასხვა პროფესიების ავტომატიზაციის რისკი. როგორც ვხედავთ ავტომატიზაციის ყველაზე დაბალი რისკი აქვთ მენეჯერების ჯგუფს (2%-4%), რაც ნიშნავს რომ სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების მიუხედავად, მენეჯერულ პოზიციებზე სამუშაო ადგილების შემცირების ალბათობა ავტომატიზაციის მიზეზით ძალიან დაბალია.

[1] https://www.cedefop.europa.eu/en/about-cedefop/what-we-do

დიაგრამა 8 ავტომატიზაციის რისკი პროფესიების მიხედვით



სამუშაო ადგილების ზრდის პროგნოზი საქმიანობების მიხედვით

Cedefop-მა ასევე გააკეთა სამუშაო ადგილების ზრდის პროგნოზი 2022-2035 წლების პერიოდზე საქმიანობების მიხედვით. დიაგრამა 6-ზე მოცემულია საქმიანობების მსხვილი

ჯგუფებისთვის რომელზე გაჩნდება ახალი ადგილები და სად იქნება საჭირო ძველი კადრების ჩანაცვლება (საპენსიო ასაკის გამო). როგორც დიაგრამაზე ჩანს როგორც ახალი სამუშაო ადგილების ისე ჩანაცვლების მიხედვით მენეჯერულ პოზიციებზე მოთხოვნა მოსალოდნელია უახლოესი წლების განმავლობაში.

დიაგრამა 9 სამუშაო ადგილების ზრდის/კლების ან ჩანაცვლების პროგნოზი, (2022-2035)[2]



ვაკანსიების პორტალის განცხადებების ანალიზის შედეგები

მენეჯერები გეგმავენ, მიმართულებას აძლევენ, აკოორდინირებენ და აფასებენ ორგანიზაციის საქმიანობას, როგორც ბიზნეს ისე სახელისუფლებო სექტორში.

მენეჯერული ვაკანსიის გამოცხადებისას პოტენციურ დამსაქმებლები ტიპიურად შემდეგ სახის სამუშაო აღწერას ურთავენ:

- მიზნების, ამოცანების დასახვა
- ბიუჯეტირება და კონტროლი
- სტანდარტები და პროცედურების დადგენა

[2] https://www.cedefop.europa.eu/en/tools/skills-intelligence/trend-focus/future-jobs#1

- ორგანიზაციის პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობა
- ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა
- საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება

მენეჯერული სამუშაოს დასახელებებია:

- აღმასრულებელი მენეჯერი
- ადამიანური რესურსების მენეჯერი
- გაყიდვების და მარკეტინგის მენეჯერი
- წარმოების მენეჯერი
- მაღაზიის მენეჯერი
- ფინანსური მენეჯერი
- ჯანდაცვის სფეროს მენეჯერი
- საგანმანათლებლო სფეროს მენეჯერი (ტრენინგ ცენტრი..)
- მშენებლობის მენეჯერი და სხვა

განთავსებული ვაკანსიების განცხადებები.

ცხრილი 5 გაანალიზებული ვაკანსიების შესახებ

გაანალიზებული პლატფორმა	**www.jobs.ge**
პერიოდი	2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 29 თებერვალი პერიოდი
სულ ვაკანსიების რაოდენობა	1634
გაანალიზებული ველები	• ვაკანსიის დასახელება • სამუშაო ვალდებულებები • საჭირო კვალიფიკაცია • ხელფასი • გამოცდილება
შერჩეული	308

სულ გამოცხადებული ვაკანსიებიდან 32%-ში არ იყო მოთხონილი უმაღლესი განათლების ქონა. 30%-ში მითითებული იყო უმაღლესი განათლების აუცილებლობა, თუმცა არ იყო

მითითებული განათლების საფეხური, ხოლო 38% შემთხვევაში კი მითითებული იყო რომ საკმარისია საბაკალავრო განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

გაანალიზდა რა სამუშაო ვალდებულებების შესასრულებლად სჭირდებათ დამსაქმებლებს ბიზნეს ადმინსიტრირების სფეროში განათლების მქონე კადრი. ცხრილში მოცემულია ყველაზე ხშირად მოთხონილი სამუშაო ვალდებულებები.

ცხრილი 6 სამუშაო ვალდებულებები

• სტრატეგიული დაგემგვა
• ბაზრის კვლევა/ანალიზი/კონკურენტების ანალიზი
• კომპანიის საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, ანგარიშის მომზადება
• მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა, მარკეტინგული გეგმის შემუშავება
• გაყიდვების სტიმულირების ღონისძიებები
• კომპანიის ბიუჯეტის შედგენა/შესრულების კონტროლი
• ბიზნეს პროცესების მართვა/მონიტორინგი
• ფასწარმოქმნის ანალიზი, ფასების პოლიტიკის ფორმირება
• გაყიდვების ანალიზი / პროგნოზირება
• მარაგების მართვა/ნაშთების კონტროლი/ინვენტარიზაცია
• შეთავაზებების მომზადება
• იმპორტის / ექსპორტის პროცედურები
• საბაჟო დეპარტამენტისთვის დოკუმენტაციის მომზადება
• SAP სისტემაში ინფორმაციის ასახვა
• შრომის უსაფრთხოების სისტემების დანერგვა, მართვა, მონიტორინგი
• დებიტორული და კრედიტორული დავალიენებების კონტროლი
• შესყიდვების/გაყიდვების ანალიტიკური ანგარიშების მომზადება
• ანგარიშების / რეპორტიგნების სისტემის აწყობა/დანერგვა
• ფინანსური ანგარიშების მომზადება
• მომხმარებელთა/კლიენტთა ბაზების წარმოება /ანალიზი (CRM)
• ყოველდღიური საქმიანობის მართვა/კონტროლი

• პერიოდული ანგარიშების მომზადება (ყოველდღიური, ყოველთვიური...)
• ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობა
• ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავება/დანერგვა, მომსახურების სტანდარტის შექმნა
• ტექნიკური წინადადების მომზადება
• ხელშეკრულებების გაფორმებაში მონაწილეობა
• ფინანსური ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება
• შემოსავლების სამსახურის პორტალთან მუშაობა
• ხელშეკრულების მომზადება
• საქმიანი კორესპონდენციის წარმოება
• მოლაპარაკებების წარმოება
• რეპორტინგი და ვიზუალიზაცია

ვაკანსიების ანალიზის დროს შევისწავლეთ, რომელი კომპიუტერული პროგრამების ცოდნას ითხოვენ დამსაქმებლები აპლიკანტებისგან და რა სახის გამჭოლი კომპოტენციების ქონას ელიან მათგან.

ცხრილი 7 კომპიუტერული პროგრამების/სისტემების ცოდნა

• MS Word
• ბიზნეს ანალიტიკის პროგრამები (MS Excel , Power BI, Tableau)
• საპრეზენტაციო პროგრამები (MS Power Point, Canvas)
• Apex
• Fina
• სფეროსთვის სპეციფიური პროგრამები (მაგ.: სასტუმროს ადმინისტრირების პროგრამა, ტურისტული..)
• 1C
• ERP სისტემების დანრეგვის გამოცდილება

• Alta (B6, LMS)
• CRM ბაზებთან მუშაობის
• პროექტ-მენეჯმენტის სპეციალიზირებული პროგრამული ინსტრუმენტები (JIRA, Asana, Slack, MS Project, Gitlab)
• SAP

ცხრილი 8 გამჭოლი კომპეტენციები

მართვა/ლიდერობა
ამოცანების და მიზნების დასახვა
ორგანიზება და დაგეგვის უნარი
პრიორიტეტების განსაზღვრა
თანამშრომლების მოტივირება
შესრულებაზე კონტროლი
დროის მართვა
კომუნიკაცია
წერითი კომუნიკაციის უნარი (გამართული წერა, ანგარიშების წერა)
აქტიური მოსმენის უნარი
უკუკავშირის მიცემა
ნათელი დავალებების მიცემა
მოლაპარაკებების წარმოება
გუნდური მუშაობის ხელშეწყობა
პრობლემების გადაჭრის უნარი
ანალიტიკური აზროვნება
კრიტიკული აზროვნება
ახალი ცოდნის მიღების უნარი / დამოუკიდებლად სწავლის უნარი

სიახლეების დანერგვა
სფეროში სიახლეების მოძიება
კონფილქტის მართვა

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- ბოლო წლების კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში სტრუქტურული უმუშევრობაა, რაც გულისხმობს იმას, რომ დასაქმების ბაზრის მოთხოვნები ნაკლებად შეესაბამება მიწოდებას. ამ გარემოებას ემატება ისიც, რომ დამსაქმებელთა უმეტესობა კადრების კვალიფიკაციის ნაკლებობაზე საუბრობს. ამ ეტაპისთვის არის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა კვალიფიციურ კადრზე, რაც უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის გამოწვევას წარმოადგენს.
- ჩატარებული სამაგიდე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დიდი ალბათობით ვივარაუდოთ რომ სამიზნე საგანმანათლებლო პროგრამებზე პოტენციური აბიტურიენტების და სტუდენტების მხრიდან იქნება ინტერესი.
- ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე კონკურენცია მაღალია უნივერსიტეტებს შორის, რაც ნიშნავს რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს მარკეტინგული ღონისძიებები სტუდენტების მოზიდვის მიზნით;
- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამებზე შედარებით დაბალია კონკურენცია. ეს აძლევს უპირატესობას EEU-ს რომ მოიზიდოს ამ პროგრამით დაინტერესებული პირები
- ინგლისურენოვან პროგრამებზე ინტერესი სულ უფრო იზრდება როგორც უცხოელი, ისე საქართველოს მოქალაქეების მხრიდან.საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ სამუშაო მოიძიონ საზღვარგარეთ (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებშიც) რაც ზრდის მათ ინტერესს ინგლისურენოვანი პროგრამების მიმართ.
- მენეჯერულ პოზიციებზე საშუალო ხელფასები აღემატება სხვა ტიპის პოზიციებზე დასაქმებულთა ხელფასებს, რაც ზრდის ინტერესი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ.
- დამსაქმებლები სულ უფრო ხშირად ეძებენ მულტიფუქნციურ თანამშრომლებს, რომლებსაც ბევრი ერთმანეთთან მონათესავე უნარები ექნებათ. განსაკუთრებით ფასობს გამჭოლი უნარები, რომლებიც მუდამ ცვალებად გარემოში სწრაფად ადაპტაციას უწყობს ხელს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია მმართველობის სფეროში. ამიტომ საგანმანათლებლო პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტები ბაზრისთვის შესაბამისი ცოდნით და უნარებით.